სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) რექტორის მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს;

1.2 საბჭო არის უნივერსიტეტის რექტორის სათათბირო კოლეგიური ორგანო.

2. მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილების ვადები

საბჭო იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, რექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

3. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა

3.1 საბჭოს შემადგენლობაში შედიან ღვაწლმოსილი მეცნიერები;

3.2 საბჭო შედგება ათი რიგითი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისაგან. საბჭოს რიგით წევრთა რაოდენობის არანაკლებ 7 წევრისა უნდა იყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი;

3.3 საბჭოს შემადგენლობის არჩევისა და შეცვლის საკითხს წყვეტს რექტორი შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამავე დებულების 3.2 პუნქტის გათვალისწინებით.

4. მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილება

4.1 საბჭოს შექმნის მიზანია უნივერსიტეტის რექტორისთვის რჩევის მიცემა შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში;

4.2 საბჭო უფლებამოსილია უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინოს რეკომენდაციები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით;

4.3 საბჭო ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

5. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

5.1 საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი;

5.2 საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს საბჭოს შეხვედრების ჩატარებას;

5.3 უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვასა და საკითხის სრულფასოვან განხილვას;
5.4 საბჭოს თითოეული შეხვედრა აისახება ოქმით. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი;
5.5 საბჭოს მდივნის ფუნქციას ასრულებს რექტორის თანაშემწე.

6. საბჭოს წევრის ვალდებულება

საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

7. საბჭოს შეხვედრების მოწვევა

7.1 საბჭოს შეხვედრები მოიწვევა არანაკლებ სემესტრში ერთხელ;
7.2 გამონაკლისის სახით შესაძლებელია რიგგარეშე საბჭოს შეხვედრის მოწვევა საჭიროების შემთხვევაში;
7.3 საბჭოს შეხვედრებს იწვევს და წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე; ინფორმაცია საბჭოს შეხვედრის ჩატარების შესახებ, შეხვედრის ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, შეხვედრის ჩატარებამდე 3 სამუშაო დღით ადრე ეცნობება საბჭოს წევრებს საბჭოს მდივნის მიერ.

8. საბჭოს შეხვედრების ადგილი

საბჭოს შეხვედრების გამართვის ადგილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1).